

სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში შესასრულებელი პროექტის - "საქართველოს საზღვრები", ერთ-ერთი მიმართულების - "ქართველი ხალხის ეთნო-კულტურული ურთიერთობები მოსაზღვრე კავკასიის ხალხებთან და მოსახლეობის ანთროპოლოგიური დახასიათება", 2024 წლის თემატიკით განსაზღვრულია თემის: "ქართველი ხალხის ეთნო-კულტურული ურთიერთობები ისტორიული ალბანეთისა და თანამედროვე აზერბაიჯანის მოსახლეობასთან," შესასრულებლად კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად, 2024 წლის 7 აგვისტოდან 16 აგვისტოს ჩათვლით მეცნიერთა ჯგუფი, კერძოდ: კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების (განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მ/თ **როლანდ თოფჩიშვილი**; მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **სალომე ოქრუაშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი**; უფროსი მეცნიერი თანამშრომლები: **ნათია ჯალაბაძე, ირმა კვაშილავა** და მეცნიერი თანამშრომელი **გიორგი ავთანდილაშვილი**) თანამშრომლები იმყოფებოდნენ ექსპედიციაში ლაგოდების მუნიციპალიტეტში. მოპოვებული მასალა ქართულ-აზერბაიჯანულ ურთიერთობებზე და ქართული ტრადიციული კულტურის შესახებ დამუშავდება და გამოყენებული იქნება წლიურ ნაშრომებში:

1. **როლანდ თოფჩიშვილმა** მასალა შეაგროვა ეთნიკური ურთიერთობებისა და მიგრაციის პრობლემებზე ქართველების აზერბაიჯანელებთან ურთიერთობის შესახებ.

2. **ლავრენტი ჯანიაშვილის** საკვლევ თემას წარმოადგენს ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობები სამეურნეო სფეროში.

3. **სალომე ოქრუაშვილმა** ეთნოგრაფიული მასალა ქართველთა და აზერბაიჯანელთა სოციალური ურთიერთობის პრობლემებზე შეაგროვა.

4. **ნათია ჯალაბაძის** საკვლევ თემა არის საზღვრის საკითხი ფოლკლორში, ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობების ასახვა ზეპირსიტყვიერებაში.

5. **ირმა კვაშილავას** საკვლევ თემატიკა არის აზერბაიჯანელებთან ურთიერთობა სულიერი კულტურის სფეროში.

6. *გიორგი ავთანდილაშვილის* გეგმიური სამუშაო ქართველთა და აზერბაიჯანელთა ურთიერთობას მოიცავს მატერიალური კულტურის სფეროში. მან ამ პრობლემაზე შეაგროვა მონაცემები.